ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა
და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი 12 მარტი, 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია"), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებელის, პოლკოვნიკი მამია ბალახაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი თავაძის სახით (შემდგომში „მხარეები"), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის ნებასა და მზადყოფნას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია აკადემიასა და ინსტიტუტს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა საგანმანათლებლო, კვლევითი, ინოვაციური პროგრამების განვითარებასა და პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლებას.

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1.მხარეები:

ა) შექმნიან თანამშრომლობის რეალურ პირობებს, ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამხედრო და საინჟინრო ტექნოლოგიების მიმართულებებს;

ბ) ხელს შეუწყობენ განათლებისა და მეცნიერების სფეროში გამოცდილების გაზიარებას;

გ) ითანამშრომლებენ სამხედრო, სამეცნიერო და საინჟინრო კვლევებში;

დ) ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, ტრეინინგების, კონფერენციების და სხვა აქტივობების ჩატარებაში;

ე) გამოხატავენ მზადყოფნას ქვეყნის თავდაცვიუნარიანობის გაძლიერებასა და ამაღლებაში;

ვ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში;

2.2. აკადემია:

ა) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკონფერენციო, სალექციო დარბაზების, სპორტული და კულტურული კომპლექსების და სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებების გამოყოფას;

ბ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

გ) უზრუნველყოფს ლაბორატორიების და სამხედრო დანიშნულების საშუალებების გამოყენებას;

2.3. ინსტიტუტი:

ა) უზრუნველყოფს მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალათმცოდნეობის სასწავლო კურსის პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისათვის ლაბორატორიული საშუალებების გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის ჩართულობას აკადემიური პროგრამების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებში;

მუხლი 3.

ხელშეკრულების მოქმედების პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან;

3.2. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის სურვილის საფუძველზე. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 30 დღისა ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე;

3.3. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები წერილობითი ფორმით.

მუხლი 4.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 5 წელი. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ავტომატურად გახანგრძლივდება მომდევნო 2 წლის ვადით, თუკი რომელიმე მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

4.2. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

პოლკოვნიკი შამილ ბაღლახაძე

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

გიორგი თავაძე

ხელშეკრულება N

ქ. თბილისი 13. 03 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია“), წარმოდგენილი რექტორის მ/შ მამია ბალახაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი თავაძის სახით (შემდგომში „მხარეები“) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობა, მათ შორის აკადემიის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერების სასწავლო კურსებისთვის უნივერსიტეტის სასწავლო ლაბორატორიების გამოყენება.

1.2. ინსტიტუტი გამოთქვამს მზადყოფნას აკადემიის იუნკერებისათვის სასწავლო ლაბორატორიების გამოყენება განახორციელოს ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ინსტიტუტი უზრუნველყოფს:

2.1.1. აკადემიის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაში მე-5 სემესტრის მე-6,7,8,14,15 კვირის პერიოდებში სასაწავლო კურსით „მასალათმცოდნეობა“ არაუმეტეს 30 იუნკერიზე გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობებისათვის ინსტიტუტის ლაბორატორიების გამოყენებას.

2.1.2. იუნკერთა პრაქტიკულ მეცადინეობაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფას.

2.1.3. იუნკერებისათვის ინსტიტუტის შინაგანაწესის, ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების გაცნობას.

2.1.4. იუნკერების დაცვას ინსტიტუტის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის და უყურადღებობისაგან.

2.2. აკადემია უზრუნველყოფს:

2.2.1. ინსტიტუტში იუნკერების გაგზავნას და მათზე კონტროლს იქ ყოფნის პერიოდში.

2.2.2. პრაქტიკულ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირის (მეცადინეობის ხელმძღვანელი) გამოყოფას.

2.2.3. ინსტიტუტთან შეთანხმებით იუნკერთა პრაქტიკული მეცადინეობების გრაფიკის განსაზღვრას;

2.2.4. ინსტიტუტისთვის იუნკერების სახელობითი სიის და სილაბუსის მიწოდებას მეცადინეობის დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე.

მუხლი 3. მეცადინეობის ხანგრძლივობა

3.1. პრაქტიკული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასწავლო კურსში „მასალათმცოდნეობა" იუნკერთა თითოეული ნაკადისათვის განისაზღვრება 5 საათი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით შედგენილი, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების გაფორმების გზით.

4.3. ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ აცნობოს სულ ცოტა ერთი თვით ადრე მაინც.

4.4. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მხარე გაფრთხილების მიუხედავად არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

5.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის, წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

მუხლი 6.დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება. ფორს-მაჟორულ გარემოებებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, ხანძარი, მასობრივი არეულობა, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომლებიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას.

7.2. თუ ფორს-მაჟორულ გარემოებებს აქვთ დროებითი ხასიათი, მათზე მითითება დაიშვება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ისინი გავლენას ახდენდნენ მხარეთა ვალდებულებების

შესრულებაზე. თითოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეტანილი უნდა იქნას მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

8.3. მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ განსხვავებულ უფლება-მოვალეობებსა და პირობებზე, რაც არუნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
მისამართი: გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ.
საკონტაქტო ნომერი: 2305285

რექტორის მ/შ, პოლკოვნიკი
მამია ბალახაძე

_____

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: თბილისი, ე.მინდელის ქ.10
საკონტაქტო ნომერი: 2381622

დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
გიორგი თავაძე

_____